

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული სესხების ხელშეკრულების ნიმუშს, სადაც განსაზღვრულია საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის ძირითადი პირობები და შესაძლებელია შეიცვალოს კონკრეტული პირის მიერ საკრედიტო პროდუქტით სარგებლობისას

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

საკრედიტო ხელშეკრულება N
თარიღი:

კრედიტის საპროცენტო განაკვეთი:

- კრედიტის წლიური საპროცენტო განაკვეთი: %
- კრედიტის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: %

ფინანსური ხარჯები:

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი): ----; გრაფიკის შესაბამისად
- კრედიტის დაჩქარებული წესით გაცემის ერთჯერადი საკომისიო: --;
- კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო თანხა:
- კრედიტის საფუძველზე მიღებული თანხის განკარგვის ყველაზე იაფი საკომისიო:
- სესხის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო:
- მიმდინარე ანგარიშის გახსნის/ბარათის დამზადების ერთჯერადი საკომისიო:
- ანგარიშის მომსახურების საკომისიო:
- დოკუმენტაციის წარმოდგენის ხარჯი:
- სიცოცხლის დაზღვევის თანხა:
- უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის თანხა:
- ავტომობილის დაზღვევის თანხა:
- შენატანის დაზღვევის თანხა:
- მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თანხა:
- მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევის თანხა:
- უზრუნველყოფის საგნებზე უფლებების რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების ან/და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღებასთან დაკავშირებული თანხა
- ნოტარიუსის მომსახურების ხარჯები:
- სხვაობა სახელშეკრულებო და პირდაპირი ანგარიშსწორების ფასებს შორის:
- ერთობლივი ანგარიშით მომსახურების საკომისიო:
- ვალუტის კონვერტაციის საკომისიო:

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია:

- კრედიტის თანხა და ვალუტა:
- კრედიტის გაცემის თარიღი:

- კრედიტის დაფარვის თარიღი:
- კრედიტის ვადა:
- კრედიტის დაფარვის პერიოდულობა:
- ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი პირდაპირი ანგარიშსწორებისას:
- ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი საბანკო კრედიტით ანგარიშსწორებისას:
- ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: - ერთჯერადად --; დამატებით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის --%; ამასთან ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ს ყოველდღიურად. აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო.
- კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო: თუ კრედიტის ვადის ბოლომდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა -0%; ბ) 6-დან 12 თვემდე-გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.5%; გ) 12-დან 24 თვემდე - 1%; დ) 24 თვეზე მეტი -2%.

მცურავგანაკვეთიანი/ინდექსირებული საპროცენტო განაკვეთიანი სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ინდექსის ცვლილებამ შესაძლოა შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს. ინდექსის მაჩვენებლის წლის განმავლობაში შესაძლოა 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში გაანგარიშებული:

კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი _____
 სესხის მომსახურების კოეფიციენტი (შენატანებისა და თქვენი შემოსავლების თანაფარდობა) _____

საპროცენტო განაკვეთის ზრდა: [1] მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთის ბანკის მარჟა – მაქსიმუმ წლიური 4%-ით. [2] ბანკი უფლებამოსილია გაზარდოს საპროცენტო განაკვეთის ბანკის მარჟა თუ მსესხებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ვადაგადაცილებულ დღეთა საერთო ოდენობა ნებისმიერი ექვს თვიან მონაკვეთში მიაღწევს 30 კალენდარულს დღეს. საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ ბანკი ერთი თვით ადრე ატყობინებს მსესხებელს წერილობითი ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით.

უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს!

ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული შენატანები მნიშვნელოვნად გაზარდოს.

ლარის შესაძლო 15%-იანი გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: %

ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელმა შეიძლება წარადგინოს ზეპირად ან წერილობით ბანკის ნებისმიერ გაყიდვის წერტილში ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით შემდეგ მისამართზე: info@vtb.ge

გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდსა www.nbg.ge/cp და ცხელ ხაზზე +995 (32) 2406 406

საკრედიტო ხელშეკრულება N

ერთი მხრივ სს “ვითიბი ბანკი ჯორჯიას” --- (შემდგომ “ბანკი”), წარმოდგენილი --- სახით, მოქმედი მინდობილობის საფუძველზე და --- (პირადი ნომერი: --- (შემდგომ “მსესხებელი”), მეორე მხრივ, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულება იდება მხარეებს შორის --- წ. დადებული საკრედიტო მომსახურების შესახებ N --- გენერალური ხელშეკრულების (შემდგომ გენერალური ხელშეკრულება) საფუძველზე და მასზე სრულად ვრცელდება გენერალური ხელშეკრულების ყველა პირობა, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულებასა და გენერალურ ხელშეკრულებას შორის წინააღმდეგობის არსებობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება წინამდებარე ხელშეკრულებას.

1.2 გენერალური ხელშეკრულებით/ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, ბანკი გასცემს სასყიდლიან კრედიტს სესხის ფორმით, ხოლო მსესხებელი იღებს ვალდებულებას, დააბრუნოს მიღებული კრედიტი, გადაიხადოს დარიცხული საპროცენტო სარგებელი/საკომისიო/პირგასამტეხლო და სრულად შეასრულოს გენერალური ხელშეკრულებით/ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

1.3 წინამდებარე ხელშეკრულების თავსართი (ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები) წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. დაკრედიტების ძირითადი პირობები

2.1 კრედიტის მიზანი, ოდენობა და ათვისების პერიოდულობა:

2.1.1. კრედიტის მიზანი:

2.1.2. კრედიტის თანხა:

2.1.3. კრედიტის თანხიდან ფინანსური ხარჯების გამოკლებით მისაღები თანხა:

2.1.4. კრედიტის ვალუტა:

2.1.5. კრედიტის გაცემის თარიღი

2.1.6. კრედიტის დაფარვის თარიღი :

2.1.7. კრედიტის ვადა: --- დღე.

2.1.8. კრედიტის დაფარვის პერიოდულობა: (თანდართული გრაფიკის შესაბამისად), ამასთან გადახდა

განხორციელებულად ჩაითვლება გრაფიკით განსაზღვრულ ვადაში, თუ შესაბამისი თანხები მსესხებლის მიერ გადახდილი იქნება გადახდის დღის 22:00 საათამდე (თბილისის დროით).

2.1.9. ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი პირდაპირი ანგარიშსწორებისას:

2.1.10. ხელშეკრულებით დაფინანსებული პროდუქტის ფასი საბანკო კრედიტით ანგარიშსწორებისას:

2.1.11. კრედიტის გატანის პერიოდულობა:

- **2.2 საპროცენტო განაკვეთები:**

2.2.1. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი: წლიური: -- % (რაც შეადგენს ყოველთვიურად --- %)

2.2.2. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: წლიური --- %

2.2.3 ლარის შესაძლო 15%-იანი გაუფასურების შემთხვევაში გაანგარიშებული კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი:

2.2.4. ინდექსის მაჩვენებლის წლის განმავლობაში შესაძლო 5 პროცენტული პუნქტით ზრდის შემთხვევაში გაანგარიშებული:

2.2.4.1. კრედიტის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი: წლიური --- %

2.2.4.2. სესხის მომსახურების კოეფიციენტი (შენატანებისა და თქვენი შემოსავლების თანაფარდობა)

2.2.5. კრედიტის საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს ინდექსირებულ საპროცენტო განაკვეთს და გაანგარიშებულია შემდეგი წესით: საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთს (საჯარო ინდექსი) დამატებული ბანკის მარჟა.

2.2.6. მსესხებელს საშუალება აქვს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთი (საჯარო ინდექსი) იხილოს საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ გვერდზე: www.nbg.gov.ge

2.2.7. ბანკის მარჟა წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას შეადგენს --- %

2.2.8. საჯარო ინდექსის გაუქმების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი შეიძენს ფიქსირებულ ხასიათს და განისაზღვრება იმ ოდენობით რა ოდენობითაც იყო საჯარო ინდექსის გაუქმების მომენტისათვის.

2.2.9. საპროცენტო განაკვეთის ზრდა: [1] მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთის მარჟა – მაქსიმუმ წლიური 4 %-ით. [2] ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთის ბანკის მარჟა საბაზრო პირობების ან კანონმდებლობის შეცვლის ან მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. [3] ბანკი უფლებამოსილია გაზარდოს საპროცენტო განაკვეთის ბანკის მარჟა თუ მსესხებლის მიერ შესასრულებელი ვალდებულებების ვადაგადაცილებულ დღეთა საერთო ოდენობა ნებისმიერი ექვს თვიან მონაკვეთში მიაღწევს 30 კალენდარულს დღეს. საპროცენტო განაკვეთის გაზრდის შესახებ ბანკი ერთი თვით ადრე ატყობინებს მსესხებელს წერილობით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან ელექტრონული ფოსტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვა საშუალებით. ამასთან, საპროცენტო განაკვეთის ზრდის ნაცვლად ბანკს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

2.2.10. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის (საჯარო ინდექსის) გაზრდიდან მომდევნო საბანკო დღეს ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს საპროცენტო განაკვეთი. აღნიშნული ცვლილება ავტომატურად აისახება გადახდის გრაფიკში და მსესხებელი ვალდებულია გადახდები განახორციელოს შეცვლილი გრაფიკის შესაბამისად, გრაფიკის ცვლილების ნამდვილობისათვის არ არის საჭირო მსესხებლის დამატებითი თანხმობა.

2.2.11. საჯარო ინდექსის ცვლილებების (გაზრდის) შესახებ მსესხებელს ინფორმაცია მიეწოდება მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, ცვლილების ძალაში შესვლიდან 5 საბანკო დღის განმავლობაში.

2.2.12. საჯარო ინდექსის ცვლილების შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთის გაზრდა ბანკის

უფლებაა და არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

2.2.13. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის (საჯარო ინდექსის) შემცირების შემთხვევაში მცირდება საპროცენტო განაკვეთიც, მაგრამ იმ წინაპირობით რომ შემცირების მინიმალური ზღვარს წარმოადგენს წლიურ --- %

2.3 ფინანსური ხარჯი:

- ყოველთვიური შენატანები (ძირითადი თანხა + პროცენტი): თანდართული გრაფიკის შესაბამისად;
- სესხის დაჩქარებული წესით გაცემის საკომისიო;
- კრედიტის გაცემის ერთჯერადი საკომისიო;
- კრედიტის საფუძველზე მიღებული თანხის განკარგვის ყველაზე იაფი საკომისიო;
- სესხის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო;
- მიმდინარე ანგარიშის გახსნის/ზარათის დამზადების ერთჯერადი საკომისიო;
- ანგარიშის მომსახურების საკომისიო: --- ლარი ყოველთვიურად
- დოკუმენტაციის წარმოდგენის ხარჯი :
- სიცოცხლის დაზღვევის თანხა;
- უზრუნველყოფის საგნის დაზღვევის თანხა;
- ავტომობილის დაზღვევის თანხა;
- უძრავი ქონების შემთხვევაში: უზრუნველყოფის საგნებზე უფლებების რეგისტრაციის/რეგისტრაციის გაუქმების ან/და სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღებასთან დაკავშირებული თანხა;
- მოძრავი ნივთის შემთხვევაში: უზრუნველყოფის საგნებზე უფლებების რეგისტრაციის/სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ცნობების მიღებასთან დაკავშირებული თანხა;
- სხვაობა სახელშეკრულებო და პირდაპირი ანგარიშსწორების ფასებს შორის;
- ერთობლივი ანგარიშით მომსახურების საკომისიო;
- ვალუტის კონვერტაციის საკომისიო :

„თუ დოკუმენტაციის წარმოდგენის ხარჯი აღმოჩნდება წინამდებარე ხელშეკრულებისაგან განსხვავებული ოდენობის, მსესხებელი უფლებამოსილია ამის შესახებ აცნობოს ბანკს რათა მოხდეს ხელშეკრულებაში მითითებული ინფორმაციის, მათ შორის ეფექტური საპროცენტო სარგებლის კორექტირება“.

2.4 სხვა მოსალოდნელი ხარჯები:

2.4.1 ვადაგადაცილების პირგასამტეხლო: მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილებისას - ერთჯერადად ---; დამატებით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ვადაგადაცილებული თანხის ---%. ამასთან ვადაგადაცილების პერიოდში დარიცხული პირგასამტეხლოს ოდენობა საერთო ჯამში, არც ერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.27 %-ს ყოველდღიურად. აღნიშნული ოდენობის გაანგარიშებაში არ მონაწილეობს ერთჯერადი პირგასამტეხლო.

2.4.2. კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის საკომისიო: თუ კრედიტის ვადის ბოლომდე დარჩენილია 6 თვემდე ვადა -0%; ბ) 6-დან 12 თვემდე-გადახდის მომენტში კრედიტის ნარჩენი ძირითადი თანხის 0.5%; გ) 12-დან 24 თვემდე - 1%; დ) 24 თვეზე მეტი -2%.

2.4.3 მსესხებელს წინსწრებით დაფარვის საკომისიო არ დაეკისრება:

2.4.3.1. კრედიტის ყოველთვიური შენატანის სამმაგ ოდენობამდე/ჩათვლით თანხით, თვეში ერთჯერადად კრედიტის წინასწარ დაფარვის შემთხვევაში.

2.4.3.2. კრედიტის ვადის ბოლომდე დარჩენილია 6 თვემდე პერიოდი.

2.4.3.3. კრედიტის რეფინანსირება მთლიანად ან ნაწილობრივ ხდება ბანკის მიერ გაცემული ახალი კრედიტით.

2.4.3.4. კრედიტის წინსწრებით დაფარვა ხდება ბანკის მოთხოვნით.

2.4.3.5. კრედიტის წინსწრებით დაფარვა ან რეფინანსირება ხდება ბანკის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებებში შესატან ცვლილებებზე მსესხებლის მხრიდან დაუთანხმებლობის მიზეზით.

2.5 კრედიტის დაფარვა: (თანდართული გრაფიკის შესაბამისად)

2.6 საბანკო კრედიტი უზრუნველყოფილია შესაბამისი უზრუნველყოფის/თავდებობის ხელშეკრულებებით. ბანკი უფლებამოსილია შესაბამისი უზრუნველყოფის საგნის მესაკუთრეს ან/და თავდებს მიაწოდოს წინამდებარე ხელშეკრულების ასლი ან/და მსესხებლის მიერ ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

.7 დაზღვევა:

2.7.1 სადაზღვევო კომპანია (მზღვეველი):

2.7.2 დაზღვეული სიკეთე:

2.7.3 ბენეფიციარი: „სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

- ავტომობილის დაზღვევის თანხა:
- შენატანის დაზღვევის თანხა:
- მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის თანხა:
- მძღოლისა და მგზავრების უბედური შემთხვევისგან დაზღვევის თანხა:

მსესხებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი კვირის ვადაში ხელი მოაწეროს მისთვის წარდგენილ სადაზღვევო ხელშეკრულებებს/პოლისებს, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული დაზღვევის პირობების ძალაში შესვლის მიზნით, აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად გაზარდოს სესხის საპროცენტო განაკვეთი 4%-ით.

2.8 განსაკუთრებული პირობები:

მუხლი 3. დამატებითი პირობები

3.1. სესხის დაფარვის მიზნით მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან ანგარიშსწორების ოპერაციისათვის განკუთვნილი გამოქვითვა თუ დაკავება განხორციელდება მსესხებლის ხარჯზე.

3.2. მსესხებლის მიერ საკრედიტო ვალდებულებების შესასრულებლად შემოტანილი ან ჩარიცხული თანხებიდან პირველ რიგში იფარება დაზღვევის პრემია, შემდგომ სესხიდან გამომდინარე: საკომისიო გადასახდელები, პირგასამტეხლო (ასეთის არსებობის შემთხვევაში), შემდეგ დარიცხული საპროცენტო სარგებელი და ბოლოს – კრედიტის ძირითადი თანხა. აღნიშნული რიგითობა შეიძლება შეიცვალოს ბანკის შეხედულებისამებრ.

3.3. თუ დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციიდან ამონაგები თანხა საკმარისი არ იქნება მსესხებლისადმი ბანკის მოთხოვნის დასაფარავად ან/და დაგირავებული/იპოთეკით დატვირთული ქონების ღირებულება მთლიანად არ დაფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, ბანკის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად არ ითვლება და ბანკს უფლება აქვს მოთხოვნა დაიკმაყოფილოს მსესხებლის ნებისმიერი ქონებით.

3.4. მსესხებელმა უნდა უზრუნველყოს უზრუნველყოფის საგნის სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება. თუ უზრუნველყოფის საგანი განადგურდა, დაზიანდა ან არსებობს სხვა რაიმე გარემოება, რომელიც საფრთხეს უქმნის ბანკის შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში სრული მოცულობით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა უზრუნველყოფის ხარჯზე, ბანკის მოთხოვნით მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შესთავაზოს ბანკს ამ უკანასკნელისთვის მისაღები სხვა

უზრუნველყოფა.

3.5. საპროცენტო განაკვეთის სახით დარიცხული თანხის გაანგარიშება ხდება კრედიტით სარგებლობის ფაქტიური დღეების შესაბამისად 365 დღისგან შემდგარ წელიწადზე გაანგარიშებით.

3.6. კრედიტის მთლიანად ან ნაწილობრივ ვადამდე დაფარვისათვის მსესხებელი ვალდებულია წინასწარ წერილობით მიმართოს ბანკს.

3.7. მსესხებელი თანახმაა მასზედ, რომ კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, ბანკი ცალმხრივად შეცვლის კრედიტის დაფარვის გრაფიკს [პერიოდული შენატანის ოდენობას ან კრედიტის ვადას მსესხებლის სურვილისამებრ] და მსესხებელი ვალდებული იქნება კრედიტი დაფაროს ამ ახალი გრაფიკის მიხედვით.

3.8. კრედიტის ნაწილის წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში, თუ მსესხებელი არ გამოხატავს ნებას რომ შემცირდეს კრედიტის ვადა, ბანკი ამცირებს პერიოდული შენატანის ოდენობას.

3.9. „ მსესხებლისთვის ცნობილია რომ დანართით განსაზღვრული სადაზღვევო პრემიის მზღვეველისთვის ანგარიშსწორება (გადახდა) ხდება ლარში, რაც გულისხმობს, რომ მსესხებლის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა ხდება დანართით მითითებულ ვალუტაში და თუ აღნიშნული ვალუტა განსხვავებულია საქართველოს ეროვნული ვალუტისგან, მზღვეველს თანხა გადაერიცხება თანხის ლარში კონვერტაციის შემდეგ“

მუხლი 4. მხარეთა უფლება_მოვალეობანი და პასუხისმგებლობები

4.1. მხარეები ვალდებული არიან სათანადოდ შეასრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულებიდან და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებათა ჯეროვანი შესრულება.

4.2. მსესხებელი ვალდებულია დროულად და სრულად დაფაროს საბანკო კრედიტი და მასზე დარიცხული პროცენტი, ასევე პირგასამტეხლო (არსებობის შემთხვევაში), გადაიხადოს საკომისიო გადასახდელები.

4.3. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, მსესხებელი ვალდებულია დააზღვიოს დაგირავებული (იპოთეკით დატვირთული) ქონება. დაზღვევა უნდა განხორციელდეს ბანკისათვის მისაღებ სადაზღვევო კომპანიაში, ბანკისათვის მისაღები სადაზღვევო პირობებით.

4.4. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ბანკი უფლებამოსილია აკონტროლოს კრედიტის მიზნობრიობა და მსესხებელი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის საფუძველზე, ბანკის მიერ დადგენილ ვადებში და ბანკის მიერ დადგენილი ფორმით, წარუდგინოს ბანკს ამონაწერები ყველა საბანკო ანგარიშებიდან, რომელიც გახსნილი აქვს რეზიდენტ თუ არარეზიდენტ ბანკებში და სხვა ინფორმაცია ბანკის მოთხოვნით.

4.5. მსესხებელი ვალდებულია ბანკისათვის შექმნას კრედიტის გამოყენების კონტროლისა და ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვების პირობები.

4.6. მსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ბანკს რეგისტრირებული ან/და ფაქტობრივი მისამართის შეცვლის და იქ გადასვლის თარიღის შესახებ, ასევე ფინანსურ და ქონებრივ მდგომარეობაში მოსალოდნელი არსებითი ცვლილებების, და იმ გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შეიძლება განაპირობონ ასეთი ცვლილებები.

4.7. მსესხებელი ვალდებულია წინასწარ აცნობოს ბანკს ყველა ისეთი გარემოების შესახებ, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულებას მსესხებლის მიერ.

4.8. იმ შემთხვევაში თუ ბანკისთვის ცნობილი გახდა ინფორმაცია, რომელიც შეეხება მსესხებლის საფინანსო მდგომარეობის ისეთ გაუარესებას, რაც საფრთხეს უქმნის (ან შეიძლება შეუქმნას) საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, მსესხებელი ვალდებულია ბანკის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში წარუდგინოს მას ამ გარემოებათა გამაბათილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები.

4.9. მსესხებელი თანახმაა და უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, კრედიტის გადახდის მორიგი

თარიღის დადგომისას, ბანკმა მოახდინოს კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტების და იმ დროისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა გადასახდელისა და პირგასამტეხლოს დაფარვა მსესხებლის მიმდინარე ანგარიშზე ან/და სხვა მის ანგარიშზე [მათ შორის სადეპოზიტო] არსებული თანხით. ბანკი უფლებამოსილია კრედიტის ძირითადი თანხა, მასზე დარიცხული პროცენტები და პირგასამტეხლო (თუ ასეთი არსებობს) უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მსესხებლის ნებისმიერი ანგარიშიდან (მათ შორის სადეპოზიტო ანგარიშიდან ან/და კრედიტის თანხისაგან განსხვავებულ ვალუტაში არსებული ანგარიშიდან). ამასთანავე, თუ უაქცეპტო წესით ჩამოსაწერი თანხა განსხვავდება კრედიტით გაცემული თანხის ვალუტისაგან, ბანკი უფლებამოსილია მსესხებლის ხარჯზე მოახდინოს ერთ სავალუტო ერთეულიდან მეორეში თანხის კონვერტაცია ბანკის კომერციული კურსის შესაბამისად.

4.10. მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებლთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია (პოზიტიური ან/და ნეგატიური, ასევე პერსონალური მონაცემები) გადასცეს სს “კრედიტინფო საქართველოს” (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) ან/და მსგავსი ფუნქციის მქონე ნებისმიერ დაწესებულებას მონაცემთა ბაზაში შესატანად, რის საფუძველზეც ეს ინფორმაცია გახდება ხელმისაწვდომი მესამე პირისათვის. აგრეთვე, მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებლთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამოიყენოს ვი თი ბი ჯგუფის ჯგუფური ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ასევე გადასცეს ბანკის აქციონერს ან ვითიბი ჯგუფის ნებისმიერ წევრს.

4.11. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში, დავალიანების მსესხებლისგან ამოღების მიზნებისათვის, მსესხებელი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მსესხებლთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია გადასცეს მესამე პირებს.

4.12. ბანკი უფლებამოსილია გადასცეს მსესხებელთან და ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებთან დაკავშირებული ინფორმაცია მესამე პირს ბანკის მიერ მსესხებლის მიმართ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის მიზნით.

4.13. ბანკი უფლებამოსილია მსესხებელთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტი მიაწოდოს გარე აუდიტორს, რომელიც ბანკს უწევს პროფესიულ მომსახურებას.

4.14. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით თანხმობას ვაცხადებ, რომ სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიამ“ კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩემი იდენტიფიკაციის/ვერიფიკაციის ან/და საბანკო მომსახურების მიღების მიზნით და ამ მიზნების განსახორციელებლად, საჭირო მოცულობით მიიღოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები.

4.15. მსესხებელი თანახმაა, რომ ბანკმა, მსესხებლისთვის მომსახურების გაწევის ან/და საბანკო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, როგორც წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ისე შემდგომ, მსესხებლის დამატებითი თანხმობის გარეშე, ნებისმიერ საკრედიტო-საინფორმაციო მონაცემთა ბაზიდან ან/და სხვა წყაროდან, მათ შორის სს “კრედიტინფო საქართველოს” (საიდენტიფიკაციო კოდი 204470740) მონაცემთა ბაზიდან მოიძიოს, მიიღოს, გამოიყენოს ან სხვაგვარად დაამუშაოს მსესხებლის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური მონაცემები და საკრედიტო ისტორიის შესახებ მონაცემები).

4.16. მსესხებელი ადასტურებს, რომ მას არა აქვს ურთიერთობა ფიქტიურ ბანკთან (“შელ ბანკი”).

4.17. ბანკის წინაშე არსებული პრეტენზიები მსესხებელმა შეიძლება წარადგინოს ბანკში არსებულ პროცესებისა და მომსახურების ხარისხის მონიტორინგის ჯგუფში წერილობით ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით თავსართში მითითებული გზით. პრეტენზიაზე პასუხი გაცემული იქნება პრეტენზიის მიღებიდან ერთი თვის ვადაში.

პრეტენზიების განხილვის პროცედურა შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ოფიციალურ ვებ გვერდზე: www.vtb.ge.

მუხლი 5 ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

5.1. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მსესხებელს კრედიტის ძირითადი თანხისა და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, პირგასამტეხლოს (ასეთი ს არსებობის შემთხვევაში) გადახდა, აგრეთვე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ხოლო მსესხებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეასრულოს ეს მოთხოვნები, იმ შემთხვევაში თუ:

5.1.1. კრედიტის ან/და საპროცენტო სარგებლის ეტაპობრივად დაფარვის შემთხვევაში მსესხებელი გადაცილებს დაფარვის სულ მცირე ზედიზედ ორ ვადას და ბანკის შეტყობინების გაგზავნიდან ორი კვირის ვადაში სრულად არ იქნება დაფარული ვადაგადაცილებული დავალიანება.

5.1.2. თუ ბანკი მიიჩნევს, რომ გაუარესდა ან უახლოეს მომავალში მოსალოდნელია გაუარესდეს მსესხებლის ფინანსური ან/და ქონებრივი მდგომარეობა, რითაც, ბანკის აზრით, საფრთხე შეიძლება შეექმნას საკრედიტო ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას.

5.1.3. ბანკის წერილობითი თანხმობის გარეშე მსესხებლის მიერ დარღვეული იქნება კრედიტის მიზნობრიობა.

5.1.4. მსესხებელი დაარღვევს ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებას.

5.2. ბანკი აგრეთვე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება ხელშეკრულებით ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

5.3. მსესხებელს წერილობით ეგზავნება კრედიტის და მასზე დარიცხული პროცენტის ვადამდე დაბრუნების, აგრეთვე პირგასამტეხლოს გადახდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოთხოვნა, რომელიც მისი მიღების შემდეგ დაუყოვნებლივ (ან ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში) მსესხებლის მიერ უნდა შესრულდეს მთელი მოცულობით.

5.4. ბანკის მხრიდან ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტამდე ნაკისრი ვალდებულებები რჩება ძალაში, მათ შორის ბანკი უფლებამოსილია გააგრძელოს დარჩენილ დავალიანების თანხაზე პროცენტის და პირგასამტეხლოს დარიცხვა.

მუხლი 6 სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულ შესრულებამდე.

6.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით და ისინი განიხილებიან, როგორც ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილები.

6.3. ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც არ არის შევსებული ანუ მონაცემის მაგივრად მითითებულია ნიშანი “ტირე”, არ მოქმედებს მსესხებელთან მიმართებაში.

6.4. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6.5. ნებისმიერი დავა გამომდინარე ამ ხელშეკრულებიდან და მასთან დაკავშირებული აქცესორული ხელშეკრულებებიდან, დაკავშირებული მათ გაუქმებასთან, შეწყვეტასთან, ბათილობასთან, ხელშეკრულებიდან გასვლასთან და მისგან გამომდინარე ნებისმიერ შედეგთან (მათ შორის უზრუნველყოფის დონისძიებათა გამოყენებასთან), ასევე წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმის ნამდვილობასა და არსებობასთან დაკავშირებული საკითხები განსახილველად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა შპს „საქართველოს საარბიტრაჟო პალატას“ (საიდენტიფიკაციო N205267389), რომლის იურისდიქციას მხარეები აღიარებენ ანულირების გარეშე. აღნიშნული არბიტრაჟი საქმეს განიხილავს თავისი დებულებით დადგენილი წესით. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, განიხილავს არბიტრაჟი ერთი ან სამი არბიტრის შემადგენლობით. არბიტრებს ნიშნავს და მათ რაოდენობას განსაზღვრავს არბიტრაჟი. არბიტრაჟის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის უზრუნველყოფის შესახებ ექვემდებარება აღსრულებას არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულო

ლებო ფურცლის საფუძველზე და არ საჭიროებს სასამართლოს მიერ ცნობასა და აღსრულებას. მხარეები დამატებით იღებენ ვალდებულებას მისამართის ან/და ფაქტობრივი ადგილსამყოფელის შეცვლის შემთხვევაში აცნობონ იგი არბიტრაჟს, წინააღმდეგ შემთხვევაში არბიტრაჟის მიერ კორესპოდენცია გაგზავნილი იქნება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მისამართის მიხედვით და კორესპოდენცია (მათ შორის გზავნილი, გარკვეულ საარბიტრაჟო მოქმედებათა შესახებ შეტყობინება, განკარგულება, გადაწყვეტილება და ა.შ.) ჩაითვლება ჩაბარებულად (შესაბამისი თანმდევი სამართლებრივი შედეგებით).

6.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები გადადის მხარეთა უფლებამონაცვლეებზე. მსესხებელს უფლება არა აქვს ბანკის თანხმობის გარეშე მესამე პირს გადასცეს ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ნებისმიერი ვალდებულება ან უფლება.

6.7 ბანკს უფლება აქვს შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი გადასცეს მსესხებელს ან გაუგზავნოს შეტყობინება/დოკუმენტი (კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით) წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლში მითითებულ მისამართზე ან მსესხებლის იმ მისამართზე რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში/მითითებულია პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მე-7 მუხლში მითითებულ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით. შეტყობინება/დოკუმენტი შეიძლება ასევე გაგზავნილ/გადაცემულ იქნეს მსესხებლის იმ ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით, ფაქსით, ელექტრონული ფოსტით ან სხვა კომუნიკაციის საშუალებით რომელიც რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ნებისმიერი ამ პუნქტში დათქმული ფორმით ჩაითვლება მსესხებლისათვის შეტყობინების ჩაბარებად. შეტყობინების/დოკუმენტის გაგზავნა ბანკის სახელით ბანკის თანამშრომლის მიერ ტელეფონის ნომრიდან მოკლე ტექსტური შეტყობინების ფორმით ან ელექტრონული ფოსტით ზემოაღნიშნულ რეკვიზიტებზე ჩაითვლება მსესხებლისათვის შეტყობინების ჩაბარებად.

შეტყობინება მსესხებლის მიერ მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება:

6.7.1. პირადად მიწოდების შემთხვევაში -

შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის მსესხებლისათვის ჩაბარების დღეს.

6.7.2. კურიერის ან საფოსტო ორგანიზაციის მეშვეობით შეტყობინების ან სხვა დოკუმენტის გაგზავნის შემთხვევაში - კურიერის/საფოსტო ორგანიზაციისთვის ჩაბარების დღიდან მე-

5 კალენდარულ დღეს, ან მსესხებლისათვის ჩაბარების დადასტურების თარიღის დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი

6.7.3. ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში -

მსესხებლის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან (მისამართიდან) ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინების მიღების შესახებ დასტურის მიღების დღეს ან გაგზავნიდან მომდევნო დღეს, რომელსაც უფრო ადრე ექნება ადგილი.

6.7.4. ნებისმიერი სხვა საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში - გაგზავნის თარიღიდან მეორე დღეს.

ბანკის შეტყობინება ან სხვა დოკუმენტი მსესხებელზე მიღებულად/ჩაბარებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ ბანკს შეტყობინება დაუბრუნდა გაგზავნილ მისამართზე მსესხებლის ადგილსამყოფელის/საცხოვრებელი ადგილის არ არსებობის გამო ან მსესხებელი უარს განაცხადებს შეტყობინების ან დოკუმენტის მიღებაზე/ჩაბარებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას ან ბანკი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებს მსესხებლის ელექტრონული ფოსტის მისამართის გაუქმების ან არ არსებობის შესახებ შეტყობინებას. თუ მოხდა მე-7 მუხლში მითითებული მსესხებლის რომელიმე რეკვიზიტის/საკონტაქტო მონაცემის შეცვლა და ამის შესახებ წერილობით არ ეცნობება ბანკს, შეტყობინება/დოკუმენტი

მსესხებლის მიერ მიღებულიად/ჩაბარებულიად ითვლება მითითებულ რეკვიზიტზე/საკონტაქტო მონაცემზე გაგზავნის შემთხვევაშიც.

6.8. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა პუნქტების ბათილად ცნობას.

6.9. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მსესხებელს, ხოლო ერთი რჩება ბანკში.

მუხლი 7. მხარეთა რეკვიზიტები:

"ბ ა ნ კ ი"	"მ ს ე ს ხ ე ბ ე ლ ი"
სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"	(სახელი, გვარი)
ფილიალის დასახელება:	პ/წ
მისამართი	გამც.ორგ.
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი:	მისამართი:
(995 32) 2242424	საკონტაქტო ნომერი